სასწავლო პროგრამა

ისტორია

XI კლასი

სასწავლო საგნის დასახელება	ისტორია
მასწავლებლის სახელი,გვარი	თამარ ფესტვენიძე; ნანა სულაბერიძე
ტელეფონის ნომერი	579114222 ; 577339682
ელ-ფოსტა	tamunapestvenidze@gmail.com, nanasulaberidze3@gmail.com
სწავლების კლასი	XI კლასი
სასწავლო საგნის ხანგრძლივობა	ერთი სასწავლო წელი
სასწავლო საგნის საათების რაოდენობა	კვირაში 3-1 საათი;
გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო	ისტორია - n. asaTiani, n.kiRuraZe g.sanikiZe, გორდეზიანი, გაჩეჩილაძე, I. fircxalava, გამომცემლობა" ბაკურ სულაკაური"
დამხმარე სახელმღვანელო	
სასწავლო საგნის სტატუსი	ძირითადი, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სავალდებულო საგანი
სასწავლო საგნის ზოგადი აღწერა	საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ცოდნა არის მოსწავლის პატრიოტად და პოლიტიკურად განათლებულ მოქალაქედ ჩამოყალიბების წინაპირობა. მოსწავლეს ჰქონდეს ისტორიული აზროვნება: მას უნდა შეეძლოს ისტორიული ეპოქის აღქმა (ისტორიულ ეპოქის აღწერისას მოვლენების დანახვა იმ პერიოდში მცხოვრები ადამიანების თვალით; წარსულშ მომხდარი მოვლენების შეფასება არა მხოლოდ დღევანდელი გადასახედიდან, არამედ იმ ეპოქის

	ფასეულობებისა და შეხედულებების გათვალისწინებით);[1] ისტორიულ მოვლენებს შორის რთულ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და ანალიზი; ისტორიული მოვლენის მიზეზებისა და შედეგების განსხვავებული შეფასებების შედარება და ანალიზი; კანონზომიერებების შესახებ საკუთარი მოსაზრების დასაბუთება; დამოუკიდებელი ისტორიული კვლევა
საგნის ორგანიზაცია	ინდივიდუალური, წყვილებში მუშაობა, ჯგუფური მუშაობა
სასწავლო საგნის ამოცანები:	საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის ცოდნა არის მოსწავლის პატრიოტად და პოლიტიკურად განათლებულ მოქალაქედ ჩამოყალიბების წინაპირობა. ისტორიის სწავლებამ მოსწავლეს უნდა დაანახოს, რომ ისტორია არის უწყვეტი პროცესი, რომ თანამედროვე საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს პოლიტიკური, სოციალური და მორალური პრობლემები მეტწილად განპირობებულია საუკუნეებისა და ათასწლეულების განმავლობაში მომხდარი ცვლილებებით. ისტორიის სწავლებამ მოსწავლეს ასევე უნდ განუვითაროს პრობლემის გადაჭრის უნარი. ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს, რომ მოსწავლეს ჰქონდეს ისტორიული აზროვნება: მას უნდ შეეძლოს ისტორიული ეპოქის აღქმა (ისტორიული ეპოქის აღწერისას მოვლენების დანახვა იმ პერიოდშ მცხოვრები ადამიანების თვალით; წარსულში მომხდარი მოვლენების შეფასება არა მხოლოდ დღევანდელ გადასახედიდან, არამედ იმ ეპოქის ფასეულობებისა და შეხედულებების გათვალისწინებით);[2] ისტორიულ მოვლენებს შორის რთული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა და ანალიზი; ისტორიული მოვლენი მიზეზებისა და შედეგების განსხვავებული შეფასებების შედარება და ანალიზი;[3] კანონზომიერებების შესახე საკუთარი მოსაზრების დასაბუთება;[4] დამოუკიდებელი ისტორიული კვლევა (ისტორიული კვლევა-ძიები მიზნის განსაზღვრა და დაგეგმვა; წერილობითი, ვიზუალური, ლიტერატურული წყაროების მოძიება ისტორიული დოკუმენტის ანალიზი; ისტორიკოსთა განსხვავებული შეხედულებების შედარება; ჩატარებულ კვლევის საფუძველზე ისტორიული თემის დაწერა).
სასწავლო საგნის მიზანი	. მოსწავლე შეძლებს მსოფლიო ისტორიულ პროცესებში ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე მსჯელობას. . მოსწავლე შეძლებს რესურსებისა და ეკონომიკის ურთიერთგავლენის ანალიზს. . მოსწავლე შეძლებს სახელმწიფოს რაობისა და მნიშვნელობის ანალიზს. . მოსწავლე შეძლებს მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და დროში ცვალებადობის ანალიზს.

1
2
3
4

	. მოსწავლე შეძლებს საქართველოსა და მსოფლიოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხების კვლევას. . მოსწავლე შეძლებს სოციალური სტრუქტურების ურთიერთმიმართებების კვლევას. მოსწავლე შეძლებს ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ კულტურაზე რელიგიის გავლენის ანალიზს. . მოსწავლე შეძლებს სხვადასხვა კულტურების ურთიერთზეგავლენის საკითხების კვლევას.
სასწავლო საგნის სტანდარტი: მიმართულებები და შედეგები	**მიმართულება: გარემო და ეკონომიკა** **ისტ.XI.1. მოსწავლეს შეუძლია მსოფლიო ისტორიულ პროცესებში ეკონომიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე მსჯელობა.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● ირჩევს ეკონომიკური ურთიერთობების ორ ფორმას და ადარებს მათ ერთმანეთს (*მაგ., სახელოსნ* *შუა საუკუნეებში და მანუფაქტურა XVIII საუკუნეში);* ● ირჩევს ეკონომიკური ურთიერთობების ერთ-ერთ ფორმას და ადარებს საქართველოსა და სხვ რომელიმე ქვეყანაში მის ჩამოყალიბებასა და განვითარებას (*მაგ.: ფეოდალური მეურნეობა საქართველოს* *და დასავლეთ ევროპაში);* ● მსჯელობს, თუ რა გავლენას ახდენს გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობის რაოდენობა დ სიმჭიდროვე ამა თუ იმ სახელმწიფოსა და ხალხის ეკონომიკურ განვითარებაზე; ● ირჩევს სხვადასხვა ეპოქაში მომხდარ ორ მიგრაციულ პროცესს და ადარებს მათ მიზეზებსა დ შედეგებს; ● წერს თემას, რომელშიც მსჯელობს რომელიმე კონფლიქტის (ომის) ეკონომიკურ წინაპირობებსა დ შედეგებზე; ● ირჩევს ორ იმპერიას და ერთმანეთს ადარებს მათ ეკონომიკურ პოლიტიკას პერიფერიებსა დ კოლონიებში (*მაგ., ინგლისისა და ესპანეთის პოლიტიკა მათ კოლონიებში*); ● იცნობს ამა თუ იმ ეპოქის ეკონომიკურ თეორიას და გამოთქვამს მოსაზრებას, მოახდინა თუ არ გავლენა მან ამა თუ იმ ქვეყნის (რეგიონის) ეკონომიკურ განვითარებაზე. **ისტ.XI.2. მოსწავლეს შეუძლია რესურსებისა და ეკონომიკის ურთიერთზეგავლენის ანალიზი.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● მსჯელობს, თუ რა გავლენას ახდენს ბუნებრივი და ანთროპოგენული ცვლილებები ეკონომიკურ განვითარებაზე (*მაგ.: გამყინვარება, საირიგაციო ფაქტორის მნიშვნელობა ძველ აღმოსავლურ* *ცივილიზაციებში. . .);*

	● ირჩევს ერთ-ერთ ეპოქას და მსჯელობს ტექნოლოგიური ცვლილებებისა და ეკონომიკის განვითარების ურთიერთზეგავლენაზე; ● ირჩევს ერთ-ერთ სახელმწიფოს და მსჯელობს, თუ რა გავლენას ახდენს ამ ქვეყნის ეკონომიკურ პრიორიტეტებზე ის ნედლეული, რომელიც მის ტერიტორიაზე მოიპოვება. **მიმართულება: სახელმწიფო მმართველობა და პოლიტიკა** **ისტ.XI.3. მოსწავლეს შეუძლია სახელმწიფოს რაობისა და მნიშვნელობის ანალიზი.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● მსჯელობს სახელმწიფოს მახასიათებლების შესახებ; ● ტიპოლოგიურად აჯგუფებს სხვადასხვა ეპოქის სახელმწიფოებს, ადარებს მათ ერთმანეთს; ● ადარებს სახელმწიფოს სოციალური ორგანიზაციის სხვა ფორმებს; მსჯელობს მის დადებით და უარყოფით მხარეებზე. **ისტ.XI.4. მოსწავლეს შეუძლია მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბებისა და დროში ცვალებადობის ანალიზი.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● მსჯელობს თუ რა იწვევს სახელმწიფო მმართველობით სტრუქტურებში ცვლილებების აუცილებლობას; ● გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას, თუ რატომ იყო მმართველობის ესა თუ ის ფორმ დამახასიათებელი ამა თუ იმ ეპოქისთვის; ● ადარებს საქართველოში სხვადასხვა პერიოდში არსებულ მმართველობით სტრუქტურებ სხვადასხვა ქვეყანაში თანადროულ მმართველობით სტრუქტურებთან; ● ირჩევს ორ რევოლუციას და ადარებს მათ გამომწვევ მიზეზებს. **ისტ. XI.5. მოსწავლეს შეუძლია საქართველოსა და მსოფლიოში საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკვანძო საკითხების კვლევა.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● ირჩევს ერთ-ერთ სახელმწიფოს და აჯგუფებს რომელიმე ეპოქაში მისი გაერთიანების ან დაშლი განმაპირობებელ საგარეო და საშინაო ფაქტორებს; ● ირჩევს ერთ-ერთ ეპოქას და ადარებს სხვადასხვა სახელმწიფოს ინტერესებს საქართველოს მიმართ

	● წერს თემას მსოფლიოში განვითარებული უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენის შესახებ რომელმაც ასევე გავლენა მოახდინა ქართული სახელმწიფოს (სახელმწიფოების) შემდგომ განვითარებაზე; ● თანაკლასელების ჯგუფთან ერთად ირჩევს პოლიტიკურ მოღვაწეს და მსჯელობს მის მიერ არჩეულ საგარეო თუ საშინაო პოლიტიკური კურსის შედეგებზე (*მაგ., ერეკლე II-ის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატი* *დადება);* ● ირჩევს რომელიმე კონკრეტულ ეპოქას, გამოყოფს იმ პერიოდის მსოფლიო სახელმწიფო (სახელმწიფოების) ინტერესებს. განსაზღვრავს ქართული სახელმწიფოს (სახელმწიფოების) ადგილსა დ როლს ამ კონკრეტულ ეპოქასთან მიმართებით. **მიმართულება: ადამიანი და საზოგადოება** **ისტ.XI.6. მოსწავლეს შეუძლია სოციალური სტრუქტურების ურთიერთმიმართების კვლევა.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას პიროვნების ქონებრივ და სოციალურ მდგომარეობას შორის ურთიერთმიმართების შესახებ; ● ადარებს ერთი და იმავე ეპოქის ორი ან სამი ქვეყნის სოციალურ სტრუქტურებს და მიუთითებს მა შორის განსხვავებებსა და მსგავსებებზე; ● აჯგუფებს სხვადასხვა საზოგადოებაში განსხვავებული სოციალური ფენების წარმომადგენლებს დ მსჯელობს მათ უფლებებსა და მოვალეობებზე; ● ადარებს მიწათმოქმედი და მესაქონლე ხალხის ან მთისა და ბარის სოციალურ სტრუქტურებს დ პოულობს მათ შორის მსგავსებებსა და განსხვავებებს. **მიმართულება: რელიგია და კულტურა** **ისტ.XI.7. მოსწავლეს შეუძლია ამა თუ იმ ქვეყნის მატერიალურ და სულიერ კულტურაზე რელიგიის გავლენის ანალიზი.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● ადარებს საქართველოსა და სხვა ქვეყნების წინაქრისტიანულ რელიგიურ წარმოდგენებს და მა გავლენას ხელოვნებასა და ყოფაზე; ● მსჯელობს ძირითად მონოთეისტურ რელიგიებს შორის არსებული მსგავსებებისა და განსხვავებები შესახებ; ● იცნობს მსოფლიო მონოთეისტური რელიგიების წიაღში არსებულ დოგმატურ განსხვავებებს;

	● საკლასო დისკუსიისას მსჯელობს, თუ რა გავლენა მოახდინა ქრისტიანობამ ქართველი ხალხ ხელოვნებასა და ყოფაზე; ავლებს პარალელებს სხვა რომელიმე ქრისტიანულ ქვეყანასთან; ● მსჯელობს, თუ როგორ იცვლებოდა ურთიერთდამოკიდებულება საერო და სასულიერ ხელისუფლებას შორის სხვადასხვა ეპოქასა თუ ქვეყანაში და რა გავლენას ახდენდა ეს ცვლილებებ ქვეყნის კულტურულ განვითარებაზე. **ისტ.XI.8. მოსწავლეს შეუძლია სხვადასხვა კულტურების ურთიერთზეგავლენის საკითხებ კვლევა.** შედეგი თვალსაჩინოა, თუ მოსწავლე: ● მსჯელობს და ასახელებს ისტორიულ მაგალითებს, როცა ამა თუ იმ ხალხის კულტურამ პოზიტიური ა ნეგატიური გავლენა მოახდინა სხვა ქვეყნის ისტორიულ-კულტურულ სინამდვილეზე (*მაგ.: არაბები დ ესპანეთი, მონღოლები და რუსეთი*); ● ინდივიდუალური ან ჯგუფური მუშაობისას ასახელებს ქართული ხელოვნების იმ ძეგლებს (*მაგ ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება*), რომლებზეც სხვა კულტურამ მოახდინა გავლენა; ასაბუთებს თავი არჩევანს; ● ირჩევს ქართულ საკულტო თუ საერო დანიშნულების ძეგლებს და ავლებს პარალელებს ანალოგიურ დანიშნულების მქონე სხვა ქვეყნების ძეგლების არქიტექტურასთან; ● ახდენს სხვადასხვა ეპოქის ურბანული ცენტრების ერთმანეთთან შედარებას (*მაგ., რომაული ხანის ქალაქ და შუა საუკუნეების ქალაქი*); ● ადარებს შუა საუკუნეების საქართველოს ერთ-ერთ ქალაქს რომელიმე აღმოსავლურ ან ევროპულ ქალაქ და მსჯელობს მის არქიტექტურასა და ყოფაზე სხვადასხვა კულტურების გავლენაზე; ● საკლასო დისკუსიისას მსჯელობს ევროპული და აღმოსავლური კულტურების ურთიერთმიმართებაზე დ თითოეულის გავლენაზე ქართველი ხალხის ხელოვნებასა და ყოფაზე.
სასწავლო საგნის მეთოდები:	✔ გონებრივი იერიში ✔ ვიცი, გავიგე , მინდა ვიცოდე ✔ დებატი ✔ დისკუსია
სასკოლო მენეჯმენტის ხერხები	სასწავლო კურსში გამოყენებული იქნება შემდეგი ორგანიზაციული ხერხები: ✔ ჯგუფები,

მეცადინეობის ფორმები	✔ ინდივიდუალური, ✔ წყვილები ✔ ტრიადები, ✔ მთელი კლასი.
	✔ გონებრივი იერიში ✔ პრეზენტაცია ✔ როლური თამაშები; ✔ პრაქტიკული სავარჯიშოები
სასწავლო საგნის შეფასება	განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება განმავითარებელი შეფასება წარმოადგენს რჩევებს ან რეკომენდაციებს წერილობითი ან ზეპირი სახით. განმსაზღვრელი შეფასება წარმოადგენს მოსწავლის აკადემიური მოსწრების დონის განსაზღვრას, სხვადასხვა რუბრიკების გამოყენებით. განმსაზღვრელ შეფასებაში იწერება ქულა.
შეფასების ფორმები	● განმსაზღვრელი შეფასება (სხვადასხვა რუბრიკის გამოყენებით) ● თვითშეფასება ● ურთიერთშეფასება ● სიტყვიერი კომენტარი
რესურსები **internetresursi**	მსოფლიოს ფიზიკური რუკა და პოლიტიკური რუკები, saqarTveloXI-XIIsaukuneSi, saqarTvelo XVIII saukunis II naxevarSi , კომპიუტერი, www.wikipedia.org, www.istoria.ge.www.google.ge